Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №67, №74, №75, №84, №90 ბრძანებებით, 2022 წლის მარტის თვეში, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში შევიდა სხვადასხვა ცვლილებები, რომლებიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე[1].

ასევე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის №82 ბრძანებით, 2022 წლის 28 მარტს, ცვლილება შევიდა „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში, რომელიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე[2].

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის და ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის თაობაზე

2022 წლის 1 მარტიდან ძალაში შევიდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 16 თებერვლის N3751 ბრძანება[3] - „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის და გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა:

- ✓ დღგ-ის გადამხდელის სტატუსი;
- ✓ არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭება და გაუქმება;
- ✓ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადაყვანა;
- ✓ სპეციალური წესით მოსარგებლე პირის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დღგ-ის ჩათვლის წესი;
- ✓ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის შეწყვეტის საფუძვლები.

ვირტუალური ზონის პირების მოგების გადასახადით დაბეგვრა და შეღავათები

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 25 მარტის ბრძანებით, დამტკიცდა ,,ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე” მეთოდური მითითება, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 28 მარტიდან. აღნიშნული მეთოდური მითითებით განიმარტა ის კერძო შემთხვევები, როდესაც ვირტუალური ზონის პირი ისარგებლებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი შეღავათით ან შეეზღუდება ამ შეღავათით სარგებლობა.

[1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5403240?publication=0
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5408702?publication=0
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5408594?publication=0
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5420496?publication=0
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5423169?publication=0

[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5418493?publication=0

[3] https://rs.ge/LawNewsArchive?newsId=576

ამასთან ძალადაკარგულად გამოცხადდა ,,ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე" შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 31 დეკემბრის N42644 ბრძანება[4].

ცვლილებები სიტუაციურ სახელმძღვანელოებში

2022 წლის მარტის თვეში გაუქმდა შემდეგი სიტუაციური სახელმძღვნელოები:

0107 - დივიდენდის დაბეგვრა (2011 წლიდან გაცემული შუალედური დივიდენდი საწარმოს დამფუძნებლის მიერ მიღებული შემოსავალია და იბეგრება გადახდის წყაროსთან);
0108 - დივიდენდის დაბეგვრა (2011 წლიდან გაცემული შუალედური დივიდენდი საწარმოს დამფუძნებელზე გაცემული უპროცენტი სესხია);
0109 - ცვლილება საწესდებო კაპიტალში (ქონების აფასების თანხის საწესდებო კაპიტალში შეტანა 2011 წლის 1 იანვრამდე დივიდენდია);
0247 - ძირითადი საშუალებების ღირებულების გამოქვითვა (1000 ლარამდე საწესდებო კაპიტალში შენატანიც გამოიქვითება);
0252 - სახელმწიფოსათვის საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება (პერიოდების მიხედვით სხვადასხვაა - ჩათვლის და ხარჯის ნაწილში აღიარება;
0727 - საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის მომენტი;
1902 - ამხანაგობაში შენატანის დაბეგვრა;
1904 - მიწის სახით შენატანი ამხანაგობაში;
2302 - ი/მ-ს წარსადგენი წლიური დეკლარაციის ჩაუბარებლობა;
2303 - წყაროსთან დაკავებული გადასახადის არასრული გადახდა;
2304 - სააღრიცხვო დოკუმენტაციის არარსებობა;
2305 - ყოველწლიური ინფორმაციის წარუდგენლობა;
2312 - დეკლარაციაში გადასახადის შემცირება;
2314 - ჯარიმა ვალდებულების შეუსრულებლობაზე;
2323 - საგადასახადო სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა;
2644 - შეღავათები სოფლის მეურნეობის სფეროში, დაუდასტურებელი ხარჯები;

2022 წლის მარტის თვეში დაემატა შემდეგი სიტუაციური სახელმძღვნელოები:

1515-
საპენსიო შენატანის შეღავათი საშემოსავლო გადასახ ადში;
2430 - საქართველოს საზღვრების გარეთ მდებარე პუნქტებს შორის გადაზიდვის მომსახურებით მიღებული შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრა;
2546 - ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ;

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ კანონის პროექტი

საქართველოს პარლამენტს საქართველოს მთავრობის ინიციატივით 2022 წლის 2 მარტს განსახილველად წარედგინა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ეროვნული ბანკის ავტორობით მომზადებული კანონის პროექტი „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ". მითითებული კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით დაგეგმილია ასევე სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანა, რომელთა შორისაა „საქართველოს საგადასახადო კოდექსი", „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონი, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონი, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი", „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი", „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი", „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ" საქართველოს კანონი, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონი და საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" .

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, მისი შემუშავების მიზანია ევროპული ქვეყნების პრაქტიკის გაზიარება და საკრედიტო ინსტიტუტების (კომერციული ბანკების) მიერ იპოთეკით დაცული ობლიგაციების (Mortgage Covered Bond) გამოშვების გზით დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროს და იპოთეკური დაკრედიტების ხელშემწყობი ფაქტორების შექმნა. განმარტებითი ბარათის მიხედვით, დეპოზიტებისა და სახსრების მოზიდვის სხვა ალტერნატიული წყაროების გვერდით, იპოთეკური ობლიგაციების ემისია საკრედიტო ინსტიტუტებისათვის შეიძლება იქცეს იაფ და სტაბილურ დაფინანსებაზე წვდომის ერთ-ერთ საშუალებად, რაც წაახალისებს რეალური

[4] https://rs.ge/OrdersoftheHeadoftheRevenueService?cat=1&tab=1

ეკონომიკის დაკრედიტებას და ეკონომიკური ზრდის პროცესს.

კანონპროექტი აწესრიგებს იპოთეკური ობლიგაციების ემისიასთან, იპოთეკური ობლიგაციების ემიტენტების ზედამხედველობასთან და მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

კანონპროექტის მიხედვით, იპოთეკური ობლიგაცია სასესხო ფასიანი ქაღალდია, რომელიც უზრუნველყოფილია იპოთეკით, რაც იპოთეკის ბუნებიდან გამომდინარე გულისხმობს იპოთეკარის უფლებას, სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა. ამასთანავე, კანონპროექტის მიხედვით, სასესხო ფასიანი ქაღალდის მფლობელის მოთხოვნის დაკმაყოფილება არ იქნება დამოკიდებული მხოლოდ იპოთეკის საგნის რეალიზაციაზე და საკრედიტო ინსტიუტს მიეცემა შესაძლებლობა მოახდინოს ობლიგაციიდან გამომდინარე გადახდის ვალდებულებების შესრულება უშუალოდ პირადი სახსრებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ დგება კომერციული ბანკის მიერ აქტივების გასხვისებისა და მათი სპეციალური მიზნის მქონე წარმონაქმნისათვის (SPV) გადაცემის საჭიროება.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით იპოთეკური ობლიგაციების კიდევ ერთ უპირატესობად დასახელებულია ის, რომ კომერციული ბანკის გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის პროცედურების დაწყების შემთხვევაში, დღის წესრიგში არ დგება კრედიტორთა მოთხოვნების აქსელერაციის საკითხი, შესაბამისად შემუშავებული კანონპროექტით განისაზღვრება დამოუკიდებელი სახელშეკრულებო მოწესრიგება ლიკვიდაციის/გადახდისუუნარობისგან დამოუკიდებლად.

კანონპროექტის მიხედვით, ემიტენტის მიერ (გარდა რეფინანსირების ბანკისა) იპოთეკური ობლიგაციების უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოყენებულ იქნას, კომერციული ბანკის კუთვნილი იპოთეკური სესხებიდან გამომდინარე მოთხოვნები, დამატებითი აქტივები (კანონპროექტით დადგენილი ზღვრის ფარგლებში ფულადი სახსრები, საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის ან საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული შესაბამისი სუბიექტების მიერ გამოშვებული ან გარანტირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები ან ამ სუბიექტების მიმართ არსებული შესაბამისი მოთხოვნები), ასევე დერივატივებიდან გამომდინარე მოთხოვნები.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფის აქტივები მუდმივად იქნეს იდენტიფიცირებადი და გამიჯვნადი ემიტენტის სხვა აქტივებისგან, კანონპროექტი ემიტენტს უდგენს შესაბამის ვალდებულებებს. კერძოდ, უზრუნველყოფის აქტივები აუცილებლად უნდა იქნეს რეგისტრირებული უზრუნველყოფის აქტივების რეესტრში, ხოლო ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და დერივატივების შემთხვევაში - ემიტენტის შიდა რეესტრში ასახვით. ფულის და ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, გამომდინარე მათი გვაროვნული ბუნებიდან, ემიტენტმა აგრეთვე უნდა გაატაროს დამატებითი ღონისძიებები მათი სეგრეგაციისათვის. მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფის აქტივების რეგისტრაციის შემდეგ, მათზე არ დაიშვება ვალდებულებების უზრუნელყოფის ღონისძიებების გავრცელება.

კრედიტორთა დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას იძლევა კანონპროექტი ემიტენტის მიერ უზრუნველყოფის აქტივების ზედამხედველად (Cover Pool Monitor) სავალდებულო წესით აუდიტორული ფირმის დანიშვნის მოთხოვნის დაწესებით, რომელსაც უნდა გააჩნდეს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლება.

იმისათვის, რომ ეროვნულმა ბანკმა კანონპროექტით გათვალისწინებული საკითხების რეგულირების მიზნით უზრუნველყოს კანონქვემდებარე აქტების გამოცემა, კანონპროექტის ძირითადი მუხლების ამოქმედდება გათვალისწინებულია კანონის გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს, როდესაც გამოცემული იქნება შესაბამისი ნორმატიული აქტები.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.

(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.